

დიფერენცირებული მოპყრობის კონსტიტუციურობის შეფასების
თაობაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
პრაქტიკის კრიტიკული ანალიზი

ზაზა ზანგურაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში, საჯარო სამართლის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამა: საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ერემაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ზაზა ზანგურაშვილი 2020 წელი

აბსტრაქტი

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის შესაბამისად, ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი ადგენს თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს რომლის მიზანია არ დაუშვას არსებითად თანასწორის უთანასწოროდ მოპყრობა ან პირიქით.¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, თანასწორობის უფლებაში ჩარევა მისი მრავალმხრივი ბუნებიდან გამომდინარე ერთნაირი სიმძიმის ვერ იქნება, შესაბამისად მასში ინტერვენცია განსხვავებული სტანდარტით ფასდება.²

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ შეიმუშავა დიფერენცირებული მოპყრობის შეფასების ტესტი, რომელიც ორ ასპექტისგან შედგება - მკაცრი შეფასების და რაციონალური დიფერენციაციის ტესტი.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია შეაფასოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, დიფერენცირებული მოპყრობის შეფასების ტესტის გამოყენებისას.

პირველ თავში განხილული იქნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომის ძირითადი ასპექტები დიფერენცირებული მოპყრობის შეფასების ტესტის შერჩევისას და მისი გამოყენებისას.

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის #1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები “ახალი მემარჯვენეები” და “საქართველოს კონსერვატიული პარტია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.1.

² იხ. პირველი სქოლიო II.3.5.

ნაშრომის ფარგლებში განხილული იქნება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი დიფერენცირებული მოპყრობის შეფასების ტესტის გამოყენების წინაპირობები - ე.წ პრეტესტი.

ნაშრომში აგრეთვე განხილული იქნება უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR), გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო და ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოების გადაწყვეტილებები, დიფერენცირებული მოპყრობის შეფასების ტესტის გამოყენებისას.

ჩამოთვლილი საერთაშორისო სამართლებრივი წყაროების ანალიზის შედეგად, ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილი იქნება განსახილველი საკითხის ირგვლივ არსებული ძირითადი გამოწვევები და დიფერენცირებული მოპყრობის შეფასების ტესტის განვითარების პერსპექტივა.